ოქმი:**ო63.63211805**
თარიღი:**29/06/2021**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს სხდომის**

**ო ქ მ ი N 23**

ქ. სამტრედია. 24 ივნისი, 2021 წელი.

2021 წლის 24 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

***სხდომას ესწრებოდნენ:*** ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ამაღლობელი, ვაჟა სტურუა, ლიზა კრავეიშვილი, ილია მჟავია.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი**

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვების

   განხილვის შესახებ.

**/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია/**

**2.** სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად, ( 11 ხმით) მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

***1.*** საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის, ***2021 წლის 23 ივნისის*** N **63-63211745 ,** განცხადება. განმცხადებელი ითხოვს 2021 წლის 12 ივლისიდან, კუთვნილ ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას. ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობა დაეკისრება ამავე კომისიის წევრს გრიგოლ დარჯანიას.

(განცხადების N **63-63211745** , 23/06 /2021 წ. )

***კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.***

***2.*** საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნება ,,სოციალ დემოკრატები''-ს თავმჯდომარის, ილია მჟავიას, ***2021 წლის 23 ივნისის*** N 62-622116133, განცხადება. განმცხადებელი ითხოვს 2021 წლის 6 ივლისიდან, კუთვნილ ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას. ფრაქცია ,,სოციალ დემოკრატები''-ს თავმჯდომარის მოვალეობა ეკისრება ამავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს, ბაია იმესაშვილს.

(განცხადების N 62-622116133, 23/06 /2021 წ. )

***კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.***

***3. 2021 წლის 21 ივნისის*** **N:03-63211732-63**, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის GOV 6 21 00021491 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 ივნისის №9 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზას, რა დროსაც გამოვლინდა ხარვეზები, რომლებიც უნდა განიხილოს შესაბამისმა დარგობრივმა კომისიამ და შესწორებული სახით დამტკიცდეს საკრებულოს რიგით სხდომაზე.

(მომართვის N GOV 6 21 00021491 21/06/2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N **03-63211732-63** 10/06/2021 წ. )

***კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.***

სხდომის დასასრულს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მომდევნო ბიუროს სხდომაზე განხილული იქნება ის საკითხები, რომელიც განაწილდა 2021 წლის 14 ივნისს გამართულ ბიუროს სხდომაზე. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულება და ასევე იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის ინიციატივით ორი საკითხი: 1) ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. და 2) ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ნუგზარ ჯამბურიამ სხდომას ინფორმაციის სახით გააცნო, რომ დოკუმენტ ბრუნვის ახალ, ელექტრონულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით არსებობს გაკვეული ტიპის ხარვეზები. კერძოდ, შემოსულ მომართვას არ ებმის

შესაბამისი მოხსენებითი ბარათი, რომელსაც ამზადებს აპარატის უფროსი და რომელიც აუცილებელია თან ერთვოდეს წერილს. არსებული ხარვეზის თაობაზე ინფორმირებულია შესაბამისი კურატორი სამტრედიის მუნიციპალიტეტში, რომელიც დაგვპირდა, რომ გათვალისიწნებული და დროულად მოგვარებული იქნება პრობლემები.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი